საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/3804
25/07/2022

3804-21-2-202207251632

შპს „კოდორს“
მის: ქ. თბილისი, ბახტრიონის ქ. №13. ბ. №85
ელ. ფოსტა: kodori197@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №2708 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის -„დიღომი 101-102“-ის რეკონსტრუქციას.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო მონაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში და გადის კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.72.14.035.148; ს/კ: 01.72.14.035.161; ს/კ: 01.72.14.035.181 და ს/კ: 01.72.14.035.787). სკრინინგის განცხადებაზე თანდართულ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს წერილში წარმოდგენილია ინფორმაცია მხოლოდ 01.72.14.035.148 საკადასტრო ერთეულის შესახებ. შესაბამისად, აღნიშნულ წერილში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაში შემავალი თითოეული მიწის ნაკვეთის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ.

დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრულია ის ინფორმაცია, რომელსაც უნდა მოიცავდეს საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააგენტოსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება. თქვენ მიერ წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების ძირითადი ნაწილი ეთმობა სხვადასხვა დოკუმენტებიდან გადმოტანილ, არასაჭირო ინფორმაციას, რომელიც დაგეგმილ საქმიანობასთან კავშირში არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო